

საქართველოს მთავრობა

სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის
აპარატი



შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2014 წლის
სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

მარტი, 2015 წელი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

მისამართი: თბილისი, 0134, გ.ლეონიძის ქ. №3/5

ტელეფონი: +995 32 2923299; +995 32 2922632

ვებგვერდი: www.smr.gov.ge

ელფოსტა: tinagog@hotmail.com

შინაარსი

შესავალი.....	4
სტრატეგიული მიმართულებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა:	
I. კანონის უზენაესობა	5
II. განათლება და სახელმწიფო ენა	8
III. მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	16
IV. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა.....	18
V. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია	20
VI. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება	22
VII. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა.....	25

შესავალი

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს *შემყენარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა* წარმოადგენს. ეს დოკუმენტი საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის N348 განკარგულებით დამტკიცდა. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს¹ დაევალა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში პოლიტიკის შემუშავება, კოორდინირება და ანგარიშგება. ამ პროცესების კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2009 წლის 3 ივლისის N 14 ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა.

კომისიის შემადგენლობაში შედიან როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებელი თანამშრომლები, ისე სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროებისა და ორგანიზაციების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების „სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციების წარმომადგენლები. კომისიის მუშაობაში ჩართულნი არიან შემდეგი უწყებები:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის- გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი;

¹ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 362 დადგენილებით რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს სახელწოდება შეეცვალა და ეწოდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ცვლილება 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

- სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2014 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ექვსი სტრატეგიული მიმართულებით – კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია, კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება - საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მონაწილეობას არ იღებდნენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. მას შემდეგ, რაც 2014 წელს „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმას“ ვადა ამოწურა, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ახალი სტრატეგიისა და მომავალი წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე დაიწყო მუშაობა. ამ მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა და დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა ერთობლივად მოამზადეს **შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი**. ამ დოკუმენტში აისახა ის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, რაც შეიმჩნეოდა კონცეფციის განხორციელებისას; ასევე შემუშავდა რეკომენდაციები. ახალ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში აისახება ყველა დადებითი შედეგი, გამოვლენილი ხარვეზები და ნაკლოვანებები კი მხედველობაში იქნება მიღებული. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს გაერო-ს ასოციაცია (UN Association of Georgia) პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

I. კანონის უზენაესობა

კანონის უზენაესობის მიმართულებით საქმიანობას საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, ასევე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციები ახორციელებენ.

საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა სახის ღონისძიებები განხორციელდა, რაც მიმართული იყო დასახული ამოცანების შესრულებისკენ, მათ შორის: საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი, ასევე დამტკიცდა ადამიანის უფლებათა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხებს ეთმობა.

ბოშების რეგისტრაცია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან“ თანამშრომლობით განაგრძო ბოშების რეგისტრაციის პროცესი. 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:

საქმისწარმოების კატეგორია	საერთო ჯამი	დასრულდა საქმისწარმოება	საქმისწარმოების პროცესშია
მოქალაქეობის დადგენა	13	13	0
მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი	12	12	0
დაბადების ფაქტი	36	36	0
საერთო ჯამი	61	61	0

ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე

2014 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის ცენტრის“ მჭიდრო თანამშრომლობით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრები გამართა ადამიანით ვაჭრობის, უკანონო მიგრაციის საფრთხეებისა და მათგან დაცვის საშუალებების შესახებ.

ასეთი ცხრა საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა მარნეულში, ბორჯომში, ახალციხეში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, გარდაბანში, წალკაში და სართიჭალაში. საერთო ჯამში, ეთნიკური უმცირესობების 268-მა წარმომადგენელმა მიიღო შეხვედრებში მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია აქტიურად ახორციელებდა ეთნიკურ უმცირესობათა თანასწორობის დაცვის პოლიტიკას. ამ კუთხით გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- აკადემიაში არსებულ პროგრამებში შესაბამისი ცვლილებები შევიდა და დაემატა სასწავლო კურსები „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და „პერსონალური მონაცემები“, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი და მომავალი თანამშრომლები გადამზადნენ;

- აკადემიის საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამას დაემატა ისეთი საკითხების სწავლება, როგორც არის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის დაუშვებლობა“ და პოლიციის განსაკუთრებული როლი დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისა და რასობრივი დისკრიმინაციის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხების სწავლებას. უბნის ინსპექტორთა, ასევე საპატრულო და სასაზღვრო პოლიციელთა მომზადებისა და გადამზადების სპეციალურმა საგანმანათლებლო პროგრამებმა მოიცვა სასწავლო კურსი სახელწოდებით „პოლიცია მრავალეთნიკურ საზოგადოებაში“.

2014 წლის ივლისში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, აკადემიის მსმენელთათვის გაიმართა სემინარი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხებს მიემდგვნა.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ (სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონების) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაში და რეგიონის მუნიციპალიტეტებში ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართებზე რეაგირება კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით ხდებოდა.

უმცირესობების წარმომადგენლებს სათანადო ზეპირ განმარტებებს აძლევდნენ მშობლიურ, ან მათთვის გასაგებ ენებზე.

2014 წელს სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას სხვადასხვა საჭიროებებზე განცხადებით ეთნიკური უმცირესობების 57-მა წარმომადგენელმა მიმართა. მიმართვები, ძირითადად, სოციალურ დახმარების თხოვნებს უკავშირდებოდა.

საანგარიშო პერიოდში, აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. ამ მიზნით, შეიქმნა ხუთი სამუშაო ჯგუფი რომელთა საქმიანობაში ასევე ჩაერთვნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის, თეთრწყაროს, გარდაბნის და წალკის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრებს პერიოდულად მართავდნენ საკანონმდებლო სიახლეების, კერძოდ ახალი ანტიდისკრიმინაციული რეგულაციების გაცნობის მიზნით.

II. განათლება და სახელმწიფო ენა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა საანგარიშო პერიოდში განაგრძეს სხვადასხვა პროგრამების და პროექტების განხორციელება.

ენობრივი განათლება–ხარისხიანი განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა შეიმუშავა ქვეპროგრამა „ენობრივი განათლება-ხარისხიანი განათლება“, რომლის მიზანია ენობრივი განათლების დონის ამაღლებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა როგორც ქართულენოვან, ისე არაქართულენოვან სკოლებში.

ეროვნულ უმცირესობათა ენობრივი განათლების გასაუმჯობესებლად ამ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- მოეწყო ფოკუს ჯგუფები როგორც მრავალრიცხოვან, ისე მცირერიცხოვან უმცირესობათა ენების სწავლების საკითხზე(ამ ჯგუფებში შედიოდნენ: ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეების მშობლები, მშობლიური ენის მასწავლებლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები); კვლევის თემატიკა მშობლიურ ენათა სწავლა-სწავლების საკითხებს ეხებოდა, ხოლო მიზანი იყო მშობლიური, სახელმწიფო და უცხო ენების სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაინტერესებულ ჯგუფთა მოსაზრებების გამოვლენა და ამ პოზიციების გათვალისწინება მშობლიურ ენათა სწავლა-სწავლების მოდელის შემუშავებისას;
- ჩამოყალიბდა საკონსულტაციო საბჭო უმცირესობათა ენობრივი განათლების გასაუმჯობესებლად ენათა სწავლა-სწავლების კონცეფციის შემუშავებისა და მშობლიურ ენებთან დაკავშირებით ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესატან ცვლილებათა საბოლოო პაკეტის მომზადების მიზნით. ეს პაკეტი გადაწყვეტილებების მიმღებ სუბიექტებს წარედგინათ.

მშობლიურ ენათა სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით გადაწყდა შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიური ენების (აზერბაიჯანულის, სომხურისა და რუსულის) სტანდარტებისა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება. ამ ენებში ეროვნული სტანდარტებისა და პროგრამების შეთავაზება უზრუნველყოფს მშობლიური ენების ხარისხიანი სწავლა-სწავლების ხელშემწყობი ისეთი სხვადასხვა სერვისების ამოქმედებას, როგორებიცაა: უმცირესობათა მშობლიური ენების სახელმძღვანელოების შემუშავება და გრიფირება, ეთნიკურ

უმცირესობათა მშობლიური ენების მასწავლებელთა მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამების შემუშავება, ამ საგნების მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტების შექმნა, მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშემწყობი სატრენინგო-საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, სერტიფიცირების მექანიზმის ამოქმედება და ა.შ.

- ქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მცირერიცხოვან ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიური ენების სტანდარტისა და საგნობრივი პროგრამების შემუშავება. ამ ენათა რიცხვს განეკუთვნება: ჩეჩნურ-ქისტური, ასურული, ქურმანჯი, ხუნძური, უდიური, ოსური, ბერძნული.

ბილინგვური განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა 2014 წლის დეკემბერში დაასრულა არაქართულენოვანი სკოლების მე-7 კლასისთვის სახვით ხელოვნებასა და ბიოლოგიაში ორენოვანი გაკვეთილების წარმართვისათვის რესურსების პირველადი ვერსიის შემუშავება. შინაარსობრივად ეს რესურსები ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებსა და გრიფირებულ სახელმძღვანელოებს ეფუძნება, მეთოდოლოგიურად კი - ორენოვანი სწავლების (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების) თანამედროვე ტექნოლოგიებს. ამ თვალსაზრისით, ეს არის ახალი ტიპის, ინოვაციური ხასიათის საგანმანათლებლო რესურსი.

პროგრამა "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა"


პროგრამა "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა", რომელიც ქართული ენის სწავლების ხელშემწყობასა და ქართული ენის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას ისახავს მიზნად, ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის, ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, მარნეულის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების არაქართულენოვან სკოლებში ხორციელდება.


ახალი შერჩეული ტრენერ-მასწავლებლები მომზადებას გადიან „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკაში“ (50 სთ), „ეთნიკურ და რელიგიურ ტოლერანტობაში“ (5 სთ), ასევე აზერბაიჯანული ან სომხური ენის შემსწავლელ სწრაფ კურსებს (50 სთ) და მხოლოდ ამის შემდეგ ნაწილდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში. ეს მასწავლებლები, საათობრივი ანაზღაურების გარდა, სახელმწიფო პროგრამიდან 1 000 ლარის ოდენობით ხელფასს იღებენ.

2014 წლის ივნისში ახალი კადრების (ქართული ენის მასწავლებლების) შესარჩევად კონკურსი გამოცხადდა. 2011-2014 წლებში მხოლოდ სერტიფიცირებული მასწავლებლები შეირჩნენ, რომლებიც მივლინებულები არიან სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის არაქართულენოვან

სკოლებში. 2014 წელს დამატებით ქართული ენის 15 სერტიფიცირებული მასწავლებელი. ამჟამად, პროგრამაში 88 ტრენერ-მასწავლებელი არის დასაქმებული.

სკოლის საატესტატო გამოცდის შედეგები 2011-2014





ქართული ენის კლუბი

პროგრამის მონაწილე მასწავლებლები სკოლებში ქართული ენის სწავლების პარალელურად, ტრენინგებს ატარებენ მასწავლებლებისთვის, ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა კლასგარეშე ღონისძიებებს (საახალწლო, საზაფხულო, საშემოდგომო დღესასწაულებს, პოეტებისა და

მწერლებისადმი მიძღვნილ დღეებს, რელიგიურ/ეროვნულ დღესასწაულებს, გამოფენებს, კონკურსებს, სპექტაკლებს და ა.შ).

ახალი პედაგოგის ჩასვლის შემდეგ სოფელში ენის შემსწავლელთა ჯგუფი - „ქართული ენის კლუბი“ დგება. „ქართული ენის კლუბში“ მოხვედრა შეუძლიათ აბიტურიენტებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს და თემის სხვა წარმომადგენლებს. პროგრამაში ჩართული მასწავლებლის მოვალეობაა, რომ ტრენინგები ჩაუტაროს ქართული ენის ადგილობრივ მასწავლებლებს, იზრუნოს მათ პროფესიულ განვითარებაზე და გააცნოს განათლების სისტემაში გავრცელებული სიახლეები.

კლუბების მოსაწყობად და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პროგრამაში ჩართულ სკოლებს გადასცემს საჭირო ინვენტარს, აუდიო-ვიდეო აპარატურას, სასწავლო-ვიზუალურ მასალას და თვალსაჩინოებებს.

2014 წლის ოქტომბრის მონაცემებით, პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების 90 სკოლის „ქართული ენის კლუბებში“ **3 545** მსმენელი ირიცხებოდა, აქედან:

მოსწავლე	2625
მასწავლებელი:	
• ქართული ენის	220
• სხვა საგნის	264
სულ:	484
თემის წარმომადგენელი	436

გაცვლითი და დამეგობრების პროექტები

2014 წელს პროგრამის ”ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა” მონაწილეთა 65%-მა დაგეგმა (5% - 2011 წელს) და განახორციელა გაცვლითი პროგრამები. სომხური და აზერბაიჯანული სკოლები დამეგობრდნენ სხვადასხვა რეგიონის ქართულ სკოლებთან.

ტრენერ-მასწავლებლებმა მოიძიეს პარტნიორი სკოლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, გურჯაანი, გორი, გარდაბანი, საგარეჯო, ზესტაფონი, ხაშური, დაბა ჩაქვი და სხვა) და ორგანიზება გაუკეთეს ისეთი სახის გაცვლით ღონისძიებებს, როგორცაა ერთმანეთთან სტუმრობა და ცხოვრება ერთი კვირის განმავლობაში, გაკვეთილებზე დასწრება, ერთობლივი კონცერტი/სპექტაკლი, სხვადასხვა კერძების გაცნობა, ქართული მართლმადიდებლური, სომხური სამოციქულო ეკლესიების, მეჩეთების და სხვა კულტურული ძეგლების დათვალიერება.

პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მიზნების მისაღწევად 2014 წელს ორი ძირითადი მიმართულება გამოყო: პედაგოგების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში და სასწავლო რესურსების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში, 2014 წლის განმავლობაში არაქართულენოვან სკოლებში დამხმარე პედაგოგების გაგზავნა ორ ეტაპად განხორციელდა:

1. 2013 წლის ბოლოს კონკურსის შედეგად შეირჩა 23 მონაწილე, რომლებსაც 2014 წლის იანვარში ჩაუტარდათ ინტენსიური ტრენინგი პროფესიულ უნარებსა და ქართული ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებში. მომზადების გავლის შემდეგ, შერჩეული პედაგოგები სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში განაწილდნენ.
2. 2014 წლის ივნისში პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი, რომლის ფარგლებში 81 მონაწილე შეირჩა, აქედან:
 - 53 – ქართულის ენის დამხმარე პედაგოგი;
 - 17 – ისტორიის პედაგოგი;
 - 11 – გეოგრაფიის პედაგოგი.

რეგიონში გამგზავრებამდე ყველა მონაწილეს ჩაუტარდათ ტრენინგი შემდეგ მოდულებში:

- კლასის მართვის პროფესიული უნარები;
- ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდოლოგია/ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება;
- ინკლუზიური სწავლება.

2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პროგრამაში ჩართული იყო 210 დამხმარე პედაგოგი. რეგიონებში პროგრამის მონაწილეების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- შესაბამისი საგნის ადგილობრივი პედაგოგის დახმარება - გაკვეთილის დაგეგმვა და წარმართვა;
- კლასგარეშე აქტივობების განხორციელება;
- ქართული ენის/ისტორიისა და გეოგრაფიის წრეების/კლუბების დაარსება;
- მასპინძელი ოჯახისათვის ქართული ენის სწავლება.

არაქართულენოვანი მოსწავლეების უზრუნველყოფა ქართული ენის სასწავლო მასალებით

2011-2014 წლებში პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის I-XII დონის ქართული ენის სახელმძღვანელოები შეიქმნა არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის. შედგა ავტორთა ჯგუფი, რომელმაც თანამედროვე

სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელოები მოამზადა. პროცესში ჩართული იყვნენ რედაქტორები, დიზაინერ-დამკაბადონებლები და მხატვრები. სახელმძღვანელოს კომპლექტი მოსწავლის სახელმძღვანელოს, მოსწავლის რვეულის, მასწავლებლის სახელმძღვანელოსა და აუდიო დისკისგან შედგება.

2014 წელს პროგრამის ფარგლებში შექმნილი I-XII დონის ქართული ენის სახელმძღვანელოები, მათივე თხოვნის საფუძველზე, არაქართულენოვან სკოლებს გადაეცათ.

ქართული ენის უფასო ელექტრონული სწავლების პროექტი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და შემეცნებით ინტერნეტპორტალ www.teach.ge-სთან მჭიდრო თანამშრომლობით, ქართული ენის უფასო ელექტრონული სწავლების პროექტი განხორცილდა. ქართული ენის შესწავლის პროცესის გამარტივების მიზნით, ვებ-გვერდზე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის განთავსდა სპეციალური სასწავლო მოდული. ასევე აიტვირთა რუსულ-ქართული და აზერბაიჯანულ-ქართული სასწავლო ონლაინ-გაკვეთლები, რომლითაც ნებისმიერ მსურველს, ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, შეუძლია, სრულიად უფასოდ ისარგებლოს.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

2013-2014 სასწავლო წელს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ჩატარდა საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის არაქართულენოვან სკოლებშიც. აღნიშნულ სკოლებში ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე წარიმართა; არაქართულენოვანმა მოსწავლეებმა ქართული ენის ოლიმპიადაშიც მიიღეს მონაწილეობა.

ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლები)	1 572
--	-------

საგნები (აზერბაიჯანულ ენაზე)	1 146
---------------------------------	-------

საგნები (სომხურ ენაზე)	1 415
------------------------	-------

საგნები (რუსულ ენაზე)	757
-----------------------	-----

მესამე ტურის საფუძველზე, გამოვლინდნენ გამარჯვებული მოსწავლეები მათ შორის, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები. კერძოდ, ქართულ ენაში გამარჯვებულებს შორის სამი სომხურენოვანი და ერთი აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე იყო.

სკოლის გამოსაშვები გამოცდები

2013-2014 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების საფუძველზე, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აიღო:

სომხურენოვანი მოსწავლე - 615

აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე - 492

რუსულენოვანი მოსწავლე - 743

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

2014 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე „4+1“ პროგრამის ფარგლებში, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა:

- ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 456 აბიტურიენტი;
- ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 217 აბიტურიენტი.

სახელმწიფო სასწავლო გრანტით 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე დაფინანსდა:

- ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 96 აბიტურიენტი;
- ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 89 აბიტურიენტი.

მათგან, ვინც სომხურ ენაზე ჩააბარა ზოგადი უნარები, აკადემიურ პროგრამებზე ჩაირიცხა 1 აბიტურიენტი, ხოლო მათგან, ვინც აზერბაიჯანულ ენაზე ჩააბარა ეს გამოცდა - 12 აბიტურიენტი, მათ შორის ერთმა მიიღო 50%-იანი გრანტი. ერთმა აბიტურიენტმა ჩააბარა აფხაზური ენისა და ლიტერატურის ტესტი.

უკვე ორი წელია, რაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სწრაფი ბეჭედის და ლოგიკური აზროვნების კონკურსს ატარებს. ქართული დამწერლობისა და ენის პოპულარიზაციის მიზნით, შეიქმნა ვებ-გვერდი (www.ka.msy.ge), სადაც სასკოლო ასაკის ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ ჩართულიყვნენ სწრაფი ბეჭედის მარათონში. გამარჯვებულები დიპლომებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

III. მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საანგარიშო პერიოდში, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება განაგრძო. საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხით ყოველდღიურ რეჟიმში, პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა „ნაციონალური მოამბე“ უმცირესობების 5 ენაზე (აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული).

2014 წლის ოქტომბრიდან ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 23:00 საათზე მე-2 არხის ეთერშია რუსულენოვანი სატელევიზიო გადაცემა - "ნამდვილი დრო", რომელსაც მე-2 არხის ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის ჯგუფი კურირებს. საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა „ნამდვილი დრო“ («Настоящее время») რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების და ამერიკის ხმის ერთობლივ პროექტს წარმოადგენს, რომელიც საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდოვასა და უკრაინაში მოქმედ საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებთან თანამშრომლობით ხორციელდება. აღნიშნული გადაცემა მიუკერძოებლობის პრინციპს ეფუძნება და აუდიტორიას საინტერესო ანალიზს სთავაზობს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

2014 წლის 16 ნოემბერს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ეროვნული უმცირესობების საბჭოს გადაწყვეტილებით, პროგრამა „მოამბე“ მე-2 არხზე დააჯილდოვა, როგორც წლის „ტოლერანტობის ქომაგი“.

რადიომაუწყებლობა

2014 წელს ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა ასევე გაგრძელდა „პირველი რადიოს“ ეთერით. ამჟამად, საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოეთერში „მოამბის“ ახალი ამბების კოლაჟის აუდიოვერსია გადის ეროვნული უმცირესობების ენებზე. საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე კვირაში ერთხელ ასევე ემატება რადიოპროგრამა ქურთულ ენაზეც.

თოქ-შოუ "ჩვენი ეზო"

თოქ-შოუმ „ჩვენი ეზო“ 2013 წლის 1 ოქტომბრიდან შეცვალა ფორმატი და 2014 წელს გადიოდა კვირაში 4-ჯერ, როგორც სრულყოფილი ფილმების ციკლი საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების შესახებ. შემოქმედებითმა ჯგუფმა ასევე მოამზადა ფილმები, რომლებშიც ასახული იყო საქართველოში მცხოვრები დუხოზორების, აზერბაიჯანელების და სხვა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების ტრადიციები და დღესასწაულები. გადაცემები მომზადდა მსოფლიოში სახელგანთქმული კინორეჟისორის სერგო ფარაჯანოვის, სხვა წარმატებული არაქართული წარმოშობის ცნობილი ადამიანების შესახებ. წლის განმავლობაში „ჩვენი ეზოს“ 40 გადაცემა გავიდა ეთერში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ უმცირესობებისთვის გამოყოფილი დრო

გადაცემების ფორმატი	დასახელება	ხანგრძლივობა, წთ.	რაოდენობა, თვე	ჯამი, სთ.
სატელევიზიო საინფორმაციო	ნაციონალური მოამბე	55	11	262
რადიო საინფორმაციო	ნაციონალური მოამბე	55	11	262
რადიო საინფორმაციო	ქურთული ყოველკვირეული	20	12	16
საინფორმაციო- ანალიტიკური	„ნამდვილი დრო“ (თავისუფლება-საზ.მაუწყებელი)	30	3	39
სულ წელიწადში, საათი				579

ბეჭვდითი მედია

„ეროვნული უმცირესობების კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 2014 წელს გაგრძელდა არაქართულენოვანი პრესის ფინანსური მხარდაჭერა. სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი „ვრასტანის“ 12 ნომერი, აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“ და რუსულენოვანი გაზეთები: „სვობოდნაია გრუზია“ და „ვეჩერნი ტბილისი“. აღნიშნული ბეჭვდითი პრესა საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ვრცელდება.

IV. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), საანგარიშო პერიოდში, კვლავაც აქტიურად განაგრძობდა მუშაობას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად, რისთვისაც მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება

- ცესკოს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტმა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების 16 საჯარო სკოლაში პირველად ჩაატარა საინფორმაციო სახის შეხვედრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ იმ ახალგაზრდა ამომრჩეველთათვის, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას პირველად იღებდნენ. მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია არჩევნების ისტორიის, საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო პროცედურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან გაიმართა კარლ პოპერის ფორმატის დებატები თემაზე „არჩევნების როლი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის“.
- ცესკოს დაკვეთით, საზოგადოებრივი მაუწყებელი 2014 წლის 15 მაისიდან სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნიდა და აშუქებდა „საარჩევნო სატელევიზიო დაიჯესტს“. ასევე, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ცესკოს 10 საიმიჯო/საინფორმაციო ვიდეო-როლი, რომლებიც განთავსდა როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელზე, ასევე სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონალურ ტელევიზიებში.
- სომხურ და აზერბაიჯანულენოვან გაზეთებში, შესაბამისად, „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“ გამოქვეყნდა ინფორმაცია კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ხმის მიცემის პროცედურების შესახებ.
- ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.cesko.ge) განთავსებულ ბანერზე - „ეთნიკური უმცირესობები“, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საარჩევნო მასალები აიტვირთა 2014 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნებისთვის. ამასთან, ვებ-გვერდზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული მონაცემები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე იყო ხელმისაწვდომი კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ელექტორატისათვის.
- ცესკოს კონტაქტ-ცენტრის 42 ოპერატორი, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი 4 ოპერატორი, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას უზრუნველყოფდა.
- ცესკოს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტმა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, შეხვედრები გამართა გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის,

დმანისის, საგარეჯოს, ლაგოდეხისა და ახალციხის სოფლებში ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა მოეხდინა იმ პრობლემების იდენტიფიცირება რაც ხელს უშლის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა არჩევნებში მონაწილეობას.

- ცესკოს ორგანიზებით, საქართველოს სახალხო დამცველთა არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი საარჩევნო საკითხებზე.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები

ცესკოსთან არსებულმა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა საგრანტო კონკურსის ფარგლებში დააფინანსა ეთნიკური უმცირესობების თემაზე მომუშავე 10 არასამთავრობო ორგანიზაცია. ამასთან, ცესკოსთან თანამშრომლობით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES), ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, დააფინანსა 6 არასამთავრობო ორგანიზაცია. (პროექტების გეოგრაფიული არეალი: სამცხე-ჯავახეთი - ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ბორჯომი, ახალქალაქი, ნინოწმინდა; ქვემო ქართლი - წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი; შიდა ქართლი - ხაშური, კასპი, გორი, ქარელი; კახეთი - ახმეტა, თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი, დედოფლისწყარო, გურჯაანი).

ეთნიკური უმცირესობების ენებზე საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნა

- ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების 12 საარჩევნო ოლქში შეიქმნა 340 საარჩევნო უბანი. მომზადდა და დაიბეჭდა ორენოვანი ქართულ-აზერბაიჯანული საარჩევნო ბიულეტენი 9 ოლქის 203 უბნისთვის (პროპორციული - 176 900; მაჟორიტარული - 176 900; გამგებელი - 176 900); 7 ოლქის 133 უბნისთვის (პროპორციული - 69 600; მაჟორიტარული - 69 600; გამგებელი 69 600), ასევე მარნეულის ოლქის ოთხი უბნისთვის დაიბეჭდება სამენოვანი ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური საარჩევნო ბიულეტენი (პროპორციული 3 000; მაჟორიტარული 3 000; გამგებელი 3 000). გარდა საარჩევნო ბიულეტენებისა, ითარგმნა და დაიბეჭდა: ამომრჩეველთა ერთიანი სია, კენჭისყრის შენობისა და პროცედურების ამსახველი პოსტერები, ამომრჩეველთა ფლაერები და ბიულეტენის შვესების წესი ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე.
- საუბნო საარჩევნო კომისიის 1 522 სომეხი და 898 აზერბაიჯანელი წევრისთვის ითარგმნა და ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე დაიბეჭდა: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, კომისიის თავმჯდომარის ინსტრუქცია, ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს, ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები და გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი

„კენჭისყრის დღის პროცედურები“ ხელმისაწვდომი იყო სუბტიტრებით. კომისიის წევრებს ტრენინგები მათთვის გასაგებ ენაზე ჩაუტარდათ.

საარჩევნო დოკუმენტაცია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით და ცესკოსთან თანამშრომლობით ითარგმნა.

V. სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საანგარიშო პერიოდში, დაგეგმა და განახორციელა ეთნიკური უმცირესობების საინფორმაციო კომპანია ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ: სოფლის ექიმის პროგრამა, C ჰეპატიტის პროგრამა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, სოციალური დაცვა.

საინფორმაციო კამპანია

2014 წელს განხორციელებული სახელმწიფო პროგრამებიდან განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები და არაქართულენოვანი მოსახლეობის ინფორმირებულობის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა შესაბამისი პროექტები. მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ბიულეტენები და პოსტერები სხვადასხვა თემებზე: რეცეპტის ინსტიტუტის აღდგენასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ, შემუშავდა და გავრცელდა ბუკლეტები ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე (ქართულ ენაზე 300000, სომხურ ენაზე 5000, აზერბაიჯანულ ენაზე 5000 ცალი).

ცხოველის მწვავე ინფექციური დაავადების - ჯილეხისა და ბრუცელოზის პრევენციის საკითხებზე შემუშავდა საინფორმაციო ბუკლეტები: „რა უნდა ვიცოდეთ ჯილეხის შესახებ“ (ქართულ ენაზე 9000; აზერბაიჯანულ ენაზე 7000, სომხურ ენაზე 4000 ცალი) „რა უნდა ვიცოდეთ ბრუცელოზის შესახებ“ (ქართულ ენაზე - 10 000, აზერბაიჯანულ ენაზე - 15 000 და სომხურ ენაზე 500 ცალი). აღნიშნული მასალები დარიგდა საქართველოს აზერბაიჯანელი და სომეხი მოქალაქეებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სამედიცინო დაწესებულებებში და მოსახლეობაში. ასევე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან. ნათარგმნი მასალები განთავსდა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.moh.gov.ge) ბუკლეტების ქართულენოვან ვერსიასთან ერთად, ხოლო ნაბეჭდი მასალები გამოიკრა სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში.

2014 წელს დასრულდა 82 ახალი ამბულატორიის მშენებლობისა და აღჭურვის პროგრამა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ქვემო ქართლში 6 ამბულატორია (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრწყარო, წალკა, გარდაბანი) და სამცხე-ჯავახეთშიც 6 ამბულატორია (ახალციხე, ადიგენი, ნინოწმინდა), სულ 12 ახალი ამბულატორია აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეასრულა შემდეგი სამუშაოები: ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმები შემუშავდა;

- ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საინვესტიციო პროექტები შემუშავდა და ხელი შეეწყო მათ განხორციელებას;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა და მის განხორციელებაზე მონიტორინგი გაგრძელდა;
- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა გაგრძელდა.

განხორციელებული პროექტები (რეგიონული განვითარების ფონდი):

- ქვემო ქართლი – 14 789 000 ლარის ღირებულების 81 საინვესტიციო პროექტი;
- სამცხე-ჯავახეთი – 12 657 987 ლარის ღირებულების 34 პროექტი;
- კახეთი (ლაგოდეხის და ახმეტის მუნიციპალიტეტები) – 4 379 000 ლარის ღირებულების 13 პროექტი.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაცემებით, განხორციელდა გზების მშენებლობის შემდეგი სამუშაოები:

- ქვემო ქართლი – 17 936 000 ლარის ღირებულების 10 პროექტი;
- სამცხე-ჯავახეთი – 12 736 300 ლარის ღირებულების 4 პროექტი;
- კახეთი (ახმეტა, ლაგოდეხი) – 5 016 000 ლარის ღირებულების 4 პროექტი.

წყალმომარაგების კომპანიის პროექტების რაოდენობა და ღირებულება შეადგენდა:

- სამცხე-ჯავახეთი – 10 730 737 ლარის ღირებულების 2 პროექტი;
- ქვემო ქართლი - 3 290 451 ლარის ღირებულების 3 პროექტი;

2014 წელს ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება. პროგრამის საბიუჯეტო დაფინანსება, რაც 50 მლნ ლარს შეადგენდა, სოფელში პრიორიტეტულ

სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა სამუშაოებს მოხმარდა, კერძოდ, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტებს, მათ კეთილმოწყობას და ასევე, სასოფლო-სამეურნეო სფეროს. კონკრეტულ სოფელთან მიმართებაში, თანხის გამოყენების მიზნობრიობა სოფლის კრების, საჯარო განხილვების და გამოკითხვების საფუძველზე დადგინდა. პროგრამა მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას ითვალისწინებს.

წვრილი ფერმერული მეურნეობების და ასოციაციების შექმნისა და განვითარების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, რეგიონული განვითარების სააგენტოები ინტენსიურად აწყობდნენ თემატურ შეხვედრებს, ტრენინგებსა და სემინარებს ადგილობრივი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მეწარმეებისათვის.

VI. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება

საანგარიშო პერიოდი კულტურის მხარდაჭერის მიზნით ჩატარებული მრავალფეროვანი ღონისძიებებით გამოირჩეოდა, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნებას, მათი კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებას ემსახურებოდა. მოეწყო ფესტივალები, კონკურსები, გამოფენები, ხსოვნის საღამოები, კულტურათაშორისი დიალოგის ფორმატში შეხვედრები, ლიტერატურულ-შემეცნებითი პრეზენტაციები და სხვა.

საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარების, პოპულარიზაციის, ქართულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირების თვალსაზრისით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ „ეროვნულ უმცირესობათა ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში 2014 წელს მთელ რიგ პროექტებს შეუწყო ხელი:

- ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის 26 საუკუნოვანი მეგობრობის აღსანიშნავად მთელი რიგი სამთავრობო ღონისძიებები გაიმართა, მათ შორის:
 - სსიპ შოთა რუსთაველის სახ. პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის აღსანიშნავად ჩატარდა საზეიმო კონცერტი; გაიხსნა გ. ბააზოვის სახ. ებრაელთა ეთნოგრაფიულ-ისტორიული მუზეუმი; ასევე მოეწყო ებრაელი ხალხის საქართველოში ყოფა-ცხოვრების ამსახველი ექსპონატების გამოფენა; ელექტრონულ ფორმატში მომზადდა პროექტი „26 საუკუნე“, რომელიც ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების ყველა ღირშესანიშნავ მოვლენას ასახავდა;
- მირზა ფათალი ახუნდოვის სახ. კულტურულ ცენტრში განხორციელდა პროექტი „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩები“;
- ქართულ და ოსურ ენებზე გამოიცა კლასიკოსი ოსი მწერლის, ნაფი ჯუსოითის ორენოვანი ლექსების კრებული სახელწოდებით „მთები აკვანი ჩემი“;
- აზერბაიჯანულ ენაზე გამოიცა წიგნი „ასი დიდი ქართველი“, სადაც მოთხრობილია ისტორიული მნიშვნელობის ასი გამოჩენილი ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ;

- საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის „თურქვიზიონის“ მოსამზადებელ ეტაპს შეეწყო ხელი;
- გამოსაცემად მომზადდა კატალოგი „ვეინახური ხელოვნება“, რომელშიც ვეინახური კულტურის ტრადიციები და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებია თავმოყრილი;
- კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის „ჰაირტუნი“ ინიციატივით გამოსაცემად მომზადდა ორი ალბომი სახელწოდებით „საქართველოს სომეხი მხატვრები მე-20 საუკუნის II ნახევარში“ და „ძველი თბილისის ილუსტრაციები“;
- მულტიეთნიკური ფესტივალის „ერთი ცის ქვეშ“ ფარგლებში კლასიკური მუსიკისა და ფოლკლორული კონცერტები გაიმართა;
- კავკასიური ჯაზ-ფესტივალის ფარგლებში, რომელშიც 4 ქვეყნიდან ჩამოსული 30-მდე მუსიკოსი იღებდა მონაწილეობას, 4 კონცერტი გაიმართა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოსთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრთან, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა სათვისტომოებთან.

პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, 2014 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში 21 ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის ფერწერული და ფოტოგამოფენები, კონცერტები, წიგნების პრეზენტაციები. ღონისძიებებზე არაერთხელ გამოიფინა ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული უნიკალური მასალები. ჩატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია „ქართულ-ჩერქეზული დიალოგი“, სერგო ფარაჯანოვის ფილმის ჩვენება, ინგუში ერის დეპორტაციის 70 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ჩეჩნებისა და ინგუშების ხსოვნის საღამო, არიელ შარონის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, ქეთევან დავრიშვეის წიგნების თარგმანების პრეზენტაცია, ფრუნზიკ მკრტჩიანის საღამო, იან ჰამმერის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტი და სხვა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში, სამინისტრომ მთელი რიგი პროგრამები და პროექტები განახორციელა:

- სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 540 ახალგაზრდა დაესწრო თბილისში გამართულ საერთაშორისო სპორტულ ტურნირებს წყალბურთში, რაგბში და ძიუდოში;

- ახალციხეში გაიმართა მესხეთის საერთაშორისო ახალგაზრდული საფეხბურთო ფესტივალი-2014, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 14 გუნდში 400-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა; ასევე, ფესტივალზე მოწვეული იყო ორი გუნდი სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან;
- წალკაში ჩატარდა ფესტივალი „**ჯადოსნური ფლეიტა**“, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა ფლეიტისტებისთვის ყოველდღიური მასტერკლასები და რეპეტიციები ეწყობოდა;
- ქართველი და ოსი ახალგაზრდებისათვის მოეწყო სასწავლო-შემეცნებითი ტური „**ახალგაზრდა სამშვიდობო ექსპრესი**“ რომლის ფარგლებშიც 20-მდე მონაწილემ 5 ქვეყანა (თურქეთი, საბერძნეთი, მაკედონია, სერბეთი, კოსოვო) მოინახულა და ევროპელი ახალგაზრდების საუნივერსიტეტო ცხოვრებას გაეცნო;
- **ინტერპერსონალურ უნარებსა და კომუნიკაციის მართვაში** ტრენინგი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა 50-მდე სომეხმა, აზერბაიჯანელმა, ქურთმა, ქისტმა, რუსმა და ჩეჩენმა ახალგაზრდამ მიიღო. ასევე, ყვარელის იუსტიციის სასწავლო ცენტრში 50-მდე ახალგაზრდამ გაიარა ტრენინგი პროექტის მართვასა და მენეჯმენტში; „**ახალგაზრდები ბარიერების გარეშე**“ პროექტის ფარგლებში პიროვნული განვითარების ტრენინგები და სემინარები ჩატარდა ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 120 ახალგაზრდას.
- საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირების მიზნით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის განხორციელდა პროგრამა „**ერთად ევროპული არჩევანისათვის**“, რომლის ფარგლებშიც საინფორმაციო შეხვედრები და სემინარ-დისკუსიები გაიმართა ახალქალაქის, ახალციხის, ნინოწმინდის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში. პროგრამამ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 500-მდე ახალგაზრდა მოიცვა.

VII. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2014 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი უძღვებოდა უწყებათაშორისი კომისიის მუშაობას, კერძოდ, გამართა კომისიის გაფართოებული სხდომები, ასევე თემატური სამუშაო ჯგუფების შეხვედრები განათლებისა და სახელმწიფო ენის, მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებებით, შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები. თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმატში საქმიანობა იმის საშუალებას იძლევა, რომ სხვადასხვა საკითხების განხილვაში ჩაერთონ არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები და ყველა ის აქტორი, ვინც აღნიშნულ საკითხებზე მუშაობს. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, უწყებათაშორის კომისიასთან ერთად, 2013 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში და 2014 წლის სამოქმედო გეგმა მოამზადა და წარადგინა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფთან ერთად, მოამზადა ასევე შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი. ახალ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ყველა ის დადებითი შედეგი აისახება, რაც შეფასების პროცესში გამოვლინდა, ხოლო ხარვეზები და ნაკლოვანებები მხედველობაში იქნება მიღებული. შეფასების დოკუმენტი წარედგინა უწყებათაშორის კომისიას, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს, ექსპერტებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს. დოკუმენტზე მსჯელობა შედგა ასევე რეგიონებში (ახალქალაქი, მარნეული, დმანისი) არასამთავრობო ორგანიზაციების, თემის ლიდერების, თვითმმართველობის წარმომადგენლების და მოსახლეობის ჩართულობით. შეფასების დოკუმენტი ითარგმნა ინგლისურ და რუსულ ენებზე; ელექტრონული ვერსია სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე განთავსდა; დოკუმენტთან დაკავშირებით ასევე მომზადდა პუბლიკაცია.

განათლების მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, რიგი შეხვედრები გაიმართა ქვემო ქართლში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, რომლის დროსაც მათ მიიღეს ინფორმაცია „4+1“ პროგრამის შესახებ. სამუშაო შეხვედრები შედგა ასევე მარნეულში, დმანისში, გარდაბანში, ახალქალაქსა და თბილისში არაქართულენოვანი სკოლებისა და ქართული ენის სახლების პედაგოგ-მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

2014 წლის ივნისში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ერთად მარნეულში აბიტურიენტთა პრეტესტირება ჩატარდა, რომელშიც ქვემო ქართლში მაცხოვრებელმა 250-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს, რომლებიც კონცეფციის ყველა სტრატეგიული მიმართულებით ერთ-ერთ ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საანგარიშო პერიოდში.

- ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სახის კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში და ექსკურსიებში. 2014 წელს 50-მდე აზერბაიჯანელმა სტუდენტმა კახეთის ისტორიული ძეგლები მოინახულა; ქვემო ქართლის 20-მდე მოსწავლე საქართველოს ეროვნულ მუზეუმს სტუმრობდა; პანკისის ხეობის მოსწავლეებმა ეთნოგრაფიული მუზეუმი მოინახულეს თბილისში; აღნიშნულ პერიოდში ლიტერატურულ-ისტორიულ-შემეცნებითი ღონისძიებები ჩატარდა ასევე სოფელ ყარაჯალასა და დუისის საჯარო სკოლებში;
- ახალგაზრდებში დიდ ინტერესს იწვევს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრები. მათ ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობას, უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან მოისმინონ მათი ხედვა აქტუალურ საკითხებზე და თავიანთი მოსაზრებებიც გააცნონ. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, 2013-14 წლებში ახალგაზრდები ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან იმყოფებოდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის სახლში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში;
- საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით და მონაწილეობით ლექცია-სემინარები მოეწყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის თბილისსა და რეგიონებში. ლექცია-სემინარები და დისკუსიები შედგა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ახალციხის უნივერსიტეტში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლექციების თემები იყო მრავალფეროვნება და ტოლერანტობა, ეროვნული უმცირესობების უფლებები საქართველოში, სახელმწიფოს პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით და სხვა.

- **ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად, ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ საინფორმაციო კამპანიას ახორციელებს. 2014 წლის განმავლობაში საინფორმაციო მასალები მომზადდა და გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური, ოსური). თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა არაქართულენოვან სტუდენტებთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა „4+1“ პროგრამის ბენეფიციარი სტუდენტებისთვის გამოაცხადა ესეების კონკურსი თემაზე „ევროინტეგრაცია და მე“. კონკურსი ითვალისწინებდა ახალგაზრდების მოსაზრებების და მიდგომების წარმოჩენას საქართველოს ევროპულ არჩევანთან მიმართებაში. საკონკურსო კომისიამ სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორი გამოავლინა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ, ხოლო საუკეთესო სტატიები დაიბეჭდა გაზეთებში

„ვრასტანი“

და

„გურჯისტანი“.

საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ასევე გაიმართა ქვემო ქართლის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთის მედიის წარმომადგენლებთან.

საანგარიშო წლის განმავლობაში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები, ადგილზე არსებული მდგომარეობისა და მოსახლეობის პრობლემების შესასწავლად, მივლინებით იმყოფებოდნენ კახეთის რეგიონის პანკისის ხეობაში და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოეთში.

უწყებათაშორისი კომისიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ასევე საერთაშორისო ღონისძიებებში, რომელთა მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. 2014 წლის სექტემბერში ევროკავშირის პროგრამის TAIEX-ის მხარდაჭერით გაცვლითი ვიზიტი განხორციელდა სამხრეთ ტიროლში. ვიზიტის ფარგლებში, გაიცვალა და გაზიარებულ იქნა გამოცდილება განათლების, სახელმწიფო ენის სწავლებისა და ასევე ეთნიკური უმცირესობების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომის კუთხით.

აღსანიშნავია, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ნაყოფიერი თანამშრომლობა და ხშირი თემატური შეხვედრები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან.

სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში, სახელმწიფო მინისტრის აპარატს მუდმივი კომუნიკაცია ქონდა რეგიონების ადგილობრივ მოსახლეობასთან, თვითმმართველობებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; რეგულარულად იღებდა ინფორმაციას მოქალაქეებისგან, რეაგირებას ახდენდა აპარატში შემოსულ წინადადებებსა და მიმართვებზე.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი) კოორდინირებას უწევდა აპარატის მუშაობას რეგიონში.

საანგარიშო წლის განმავლობაში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს - როგორც მოსახლეობას, ასევე დიპლომატიურ კორპუსს პერიოდულად ულოცავდა მათ ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულებს.